



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზენობანი

ზენობანი, სოფელი ვანის მუნიციპალიტეტის სალხინოს თემში (იმერეთის მხარე), მდ. სულორის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 200 მ, ვანიდან 7 კმ. 218 მცხ. (2002). სოფლის თავში, გალავნით გარშემორტყმულ სასაფლაოზე, აღმართულია X-XI სს. მიჯნის ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – მაცხოვრის ერთნავიანი ეკლესია.

ლიტ.: დ ი დ ე ბ უ ლ ი ძ ე მ., ზენობანის მაცხოვრის ეკლესიის ხუროთმოძღვრება, «ძეგლის მეგობარი», 1988, №4; მ ი ს ი ვ ე , ზენობანის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობა, «მაცნე». არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნების ისტ., სერია, 1990, №1.

მ. დიდებულიძე
